მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N12

ქ. მარნეული 14.07.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, რამიზ გიულმამედოვი, ისმაილ ბაირამოვი, ჯოშგუნ ზეინალოვი, გივი ქველაძე, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი, სადრადინ ტალიბოვი, რაფიკ ჯაფაროვი.

არ ესწრებოდა: - გიორგი შუკაკიძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ლევონ აკოპიანი, რაგიმ ასკეროვი, ბესიკ გუჯეჯიანი, სულეიმან ხალილოვი, აგილ ფაშაევი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე - **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის უფროსი - **ნინო დეკანოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **დავით არუშიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - **რუსუდან გადელია.**

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

დღის წესრიგის დამტკიცებამდე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ითხოვა განსახილველ საკითხთა დღის წესრიგს დაემატოს ერთი საკითხი ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და განსახილველ საკითხთა დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით.

1. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. ა.ა.ი.პ. ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვისა და საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ.

3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 ივლისის N03/4599 წერილის განხილვის შესახებ.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 5 ივლისის N2019-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 აპრილის N03/2232 წერილის განხილვის შესახებ.

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3069 წერილის განხილვის შესახებ.

7. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარის მოსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

8. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

9. ,,მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის №2/3 დადგენილებაში ცვილების შეტანის შესახებ.

10. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობის შესახებ.

11. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

12. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“–ს დამტკიცების თაობაზე” მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 ივლისის N03-4617, 2016 წლის 13 ივლისის N2116-03, წერილების განხილვის შესახებ.

14. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N17. 14.07.2016 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 30 ივნისის N03/4147 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბაგა-ბაღების გაერთიანება ,,სკოლამდელი აღზრდის ცენტრი“-ს 2016 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა და საშტატო განრიგი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N95. 14.07.2016 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 ივლისის N03/4599 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, უზრუნველყოს ერთჯერადად 1000 ლარის გამოყოფა მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტსმენის ოთარ ნავერიანისათვის, რომელმაც 2017 წლის 7-14 ივნისს რუსეთის ქალაქ ანაპაში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატ კრივში დაიკავა მეორე ადგილი, ასევე 800 ლარის ერთჯერადი ფულადი ჯილდო გაიცეს მის მწვრთნელზე ზურაბ მუშკუდიანზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N94. 14.07.2016 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 ივლისის N03/4456 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 5 ივლისის N2019-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკრებულოს წევრებს სთხოვა თანხმობა, რათა ქალაქ მარნეულში, 20 იანვრის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ კორპუსს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში რეგისტრირებულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.13.007 მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, 20 იანვრის ქუჩა N 2გ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N89. 14.07.2016 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 აპრილის N03/2232 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 იანვრის N38-03 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება ერთი ერთეული ავტომანქანის (ავტომანქანა მერსედეს-ბენც სედანი სახელმწიფო ნომერი AA041FA) თხოვების წესით აყვანის შესახებ მარნეულის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის სრულყოფილი მუშაობისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N90. 14.07.2016 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 13 მაისის N03/3069 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების უფროსის 2016 წლის 10 მაისის N1345-03 მოხსენებითი ბარათის და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 14 აპრილის N1069-03 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, საკრებულოს წევრებს სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება ერთი ერთეული ავტომანქანის (ავტომანქანა ჰიუნდაი ტურიკი სახელმწიფო ნომერი NBA179. მესაკუთრე სოფიკო ლუხუტაშვილი) თხოვების წესით აყვანის შესხებ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების სრულყოფილი მუშაობისათვის და ერთი ერთეული ავტომანქანის (ავტომანქანა მერსედეს-ბენც E300D სახელმწიფო ნომერი PPP505.) თხოვების წესით აყვანის შესხებ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის სრულყოფილი მუშაობისათვის

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N91. 14.07.2016 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარის 2016 წლის 13 ივლისის N15-05 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება ერთი ერთეული ავტომანქანის (ავტომანქანა ჰონდა CRV სახელმწიფო ნომერი VKV437) თხოვების წესით აყვანის შესახებ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,მაჟორიტარები“-ს სრულყოფილი მუშაობისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N92. 14.07.2016 წ).

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარის 2016 წლის 13 ივლისის N16-05 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება ერთი ერთეული ავტომანქანის (ავტომანქანა ვოლცვაგენ სედანი სახელმწიფო ნომერი GG222SS. მესაკუთრე ნიკოლოზ გოგოჭური) თხოვების წესით აყვანის შესხებ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს სრულყოფილი მუშაობისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N93. 14.07.2016 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ,,მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის №2/3 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილებაN19. 14.07.2016წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი მეტრეველმა საკრებულოს წევრებს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 1 ივნისის N7/27360 წერილის გათვალისწინებით, დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომისიის თავმჯდომარე - ჯოშგუნ ზეინალოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, კომისიის წევრები: ქამილ ალიევი - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; ვაჟა ასლანიშვილი-სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი; როენა ახობაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი; გიორგი კავლელაშვილი-მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მატინ ალიევი -მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის მუნიციპალური ქონების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი. ასევე კომისიას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დაემატოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი და გამგებლის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, კომისიის თავმჯდომარის შეცვლის წინააღმდეგი წავიდა საკრებულოს სამი წევრი: ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე.ხმათა უმრავლესობით საკითხი იქნა მიღებული (მიღებულია განკარგულება N96. 14.07.2016 წ).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 ივლისის N18 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პრიექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N18. 14.07.2016 წ).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი“–ს დამტკიცების თაობაზე” მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის N10 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N20. 14.07.2016 წ).

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 14 ივლისის N03-4617 და 2016 წლის 13 ივლისის N2116-03 წერილებით შემოსული დოკუმენტაცია იმ მოქალაქეებისათვის სოციალური დახმარების გაწევის შესახებ, რომლებიც ვერ ჯდებიან მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის N10 დადგენილებით დამტკიცებულ პროგრამაში და ესაჭიროებათ დახმარება, რათა პრობლემა არ შეექმნათ მათ ჯანმრთელობას. გამოითქვა აზრი, რომ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ მოხდეს თითოეული

განცხადების ინდივიდუალური განხილვა და უახლოეს სხდომაზე გადაწყვეტილების მიღება, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ ერთხმად.

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა განკარგულების პროექტი მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N88. 14.07.2016 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მეთორმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი